

07.00.00 ისტორიული მეცნიერებანი HISTORICAL SCIENCES

დავით მაღალხონია

დიმიტრი ბაქრაძე და ქართული ისტორიოგრაფიის წმინდანობა

დიმიტრი ბაქრაძის ძე ბაქრაძეს (1826-1890წწ.) დიდი დამსახურება მიუძღვის ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების საქმეში. XIX საუკუნის გამოჩენილ მოღვაწეთა გვერდით იგი, პროფესიონალი ისტორიკოსი, არქეოლოგი და ეთნოგრაფი, თავის დროსა და ენერჯიას უმურველად ახმარდა იმ როული პრობლემების მოგვარებას, რომლებიც საგრძნობლად უშლიდა ხელს ისტორიული გამოკვლევების ნაყოფიერად წარმართვას საქართველოში.

საქართველოს ისტორიის მეცნიერული კურსის შედგენის გზაზე ყველაზე დიდ დაბრკოლებას ქმნიდა ის, რომ თავმოყრილი და სისტემაში მოყვანილი არ იყო არქეოლოგიური, წყაროთმცოდნეობითი, ეთნოგრაფიული, ეპიგრაფიკული, ნუმიზმატიკური და სხვა მასალები.

იმ სამუშაოს სირთულე და სპეციფიკური ხასიათი, რაც ამ მიმართულებით უნდა შესრულებულიყო, ნათლად ჩანს დიმიტრი ბაქრაძის მიერ შემუშავებულ პროგრამაში: „ბევრი შრომა გვეჭირდება საქართველოს წარსულის ცხოვრების გამოკვლევებისათვის. ჩვენ უნდა გამოვიძიოთ და ცნობაში მოვიყვანოთ, სადაც კი საქართველოში, თუ იმის გარეშე, კერძო სახლებში თუ მონასტრებში, დაცულია ჩვენი ხრონიკები. ჩვენ უნდა გადმოვიწეროთ, თუ გადმოვხაზოთ ძველის ეკლესიის კედლებიდან, მანუსკრიპტებიდან და საეკლესიო სასაქონლებიდან ისტორიული მინაწერები, რომელნიც ბლომად მოიპოვებთან და რომელნიც, რამდენადაც დრო გადის, იმდენად ჩვენი დაუდევრელობით იღუპებიან. ჩვენ უნდა შევისწავლოთ შინაარსი გუჯრებისა და სიკელებისა, რომელნიც განათარს ხომრავლეს შეადგენენ ამიერ-იმიერის საქართველოს კეთილშობილთ სახლებში. . . ჩვენ უნდა გავიცნოთ ჩვენ წინაპართ ნაწარმოები, საეკლესიო და საერო, რომელნიც ჩვენი წარსულის ეოფა-ცხოვრებას და ეკონომიკურ მდგომარეობას გამოგვიხატავენ, ანუ გვეჩვენებენ წარმატებას სხვადასხვა ხელოვნებაში, ხელ-საქმიანობაში, არხიტექტურაში, მანუსკრიპტების მინიატურაში და ტაძრების მხატვრობაში, რომელთა შესწავლით შეგვიძლიან, სხვათა შორის, შევიგნოთ, რა დროს, სადა და სად, რა და რა ტან-საცმელი გვექონდა. ჩვენ უნდა ჩვენი წყაროები შევამოწმოთ უცხო ტომთა წყაროებით, სომხურით, სირიულთ, ბერძნულთ, რომაულთ და სხვ. . . აი, ჩემის აზრით, ჩვენი ისტორიის შესწავლის პროგრამა“ [2].

აქ დაწვრილებით არის მითითებული, თუ რა უნდა ეკეთებინათ შეგნებულ მამულიშვილებს ისტორიული გამოკვლევებისათვის მდიდარი ბაზის შესაქმნელად. ამ პროგრამაში თითქმის ყველა კონკრეტული წყაროა ნახსენები, რომლებსაც ვარკვეული ინფორმაციის მოცემა შეუძლია წარსულის მოვლენათა განსაზღვრელად. ძალზე მნიშვნელოვანია ისიც, რომ დბაქრაძე საჭიროდ თვლის ქართულ წყაროთა მონაცემების შეჯერებას უცხოურ წყაროთა ინფორმაციასთან. საკვლევი საკითხების მრავალმხრივი შესწავლა, სხვადასხვა წყაროსა და კვლევის მეთოდის კომპლექსური გამოყენება საერთოდ ნიშანდობლივი იყო დბაქრაძისათვის, რაც მისი დასკვნების მაღალ საიმედოობას განაპირობებდა.

ბუნებრივია, დბაქრაძე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ისტორიის წერილობით წყაროებს ანიჭებდა, რომელთა ნაკლებობას იგი გასაგები გულისტყვივით აღნიშნავდა: „ამგვარი მასალა ჩვენი ისტორიისა. . . ჯერ-ჯერობით ჩვენ არა გვაქვს და, რაცა გვაქვს, ისიც ნაწვევტ-ნაწვევტი, აქა-იქ გაფანტული, ხელ-უხლებელი კრიტიკის მხრით; ამის გამო ჩვენი შრომა არა თუ სრული არ არის, არამედ რამდენადაც უძველესი ხანებს ეხება, იმდენად უფრო სღაპრულის თვისებისა“ [1].

ის, რომ ისტორიული მნიშვნელობის ხელნაწერები სხვადასხვა ეკლესია-მონასტრებსა და კერძო სახლებში ინახებოდა, არამარტო კვლევით მუშაობას აძნელებდა. სათანადო მოვლას მოკლებული ხელნაწერები ფუჭდებოდა და იკარგებოდა. ამ მხრივ, ტიპური მდგომარეობაა აღწერილი დბაქრაძის შემდეგ სტრიქონებში: „ლარგვისის მონასტრის ხელნაწერები სრულდებით არაა ისეთ მდგომარეობაში, როგორშიც ისინი ნახა გარდაცვალებულმა ბროსემ; ამათგან ქაღალდებზე დაწვრილები სინესტიხაგან სრულდებით დაღუპულან, ეტრატზე ნაწერები კი, იმავე მიზეზის გამო, ფურცელი ფურცელს შესწებებია ისე, რომ ნამდვილად №3 ოთხთავთან ერთად დაიღუპებოდა, მე რომ შემთხვევით არ მოვხვედრილიყავ ლარგვისში და არ მეთხოვა ადგილობრივი მღვდლისათვის საბუთების გაშრობა და მშრალ ადგილას შენახვა“ [6]. წერილობით ძეგლებს, ისტორიის ფასდაუდებელ წყაროს, თავის მოყრა, რესტავირება, საიმედოდ შენახვა სჭირდება.

დბაქრაძე თვლიდა, რომ უნდა შექმნილიყო საეკლესიო მუხეუმები, სადაც მოთავსდებოდა „სიძველის ყველა საგანი, რომლებიც ინახებოდა სუდამხედველოადმი მინდობილი რაიონების ეკლესიებსა და მონასტრებში, მაგალითად, ყველა ძველი ავეჯი, ტანსაცმელი, სიკელ-გუჯარი, ყველა წიგნი, როგორც ხელნაწერი, ისე დაბეჭდილი. . .“ [6].

დბაქრაძის დიდი მონღობით, უნდა ითქვას – საგზარხოსოს დახმარებითაც, 1888 წელს მართლაც გაიხსნა საეკლესიო მუხეუმები, რომელიც აქტიურად შეუდგა თავის საქმეს. მისი წყალობით მრავალი ძვირფასი ხელნაწერი გადაურჩა განადგურებას. აქვე ხლებოდა შემოსული მასალების შესწავლა, სათანადო დოკუმენტაციის შედგენა, კლასიფიკაცია.

მუხეუმის გახსნას დიდი კმაყოფილებით შეხვდა მოწინავე ქართველი საზოგადოება, რომელსაც სწორად ესმოდა მისი მნიშვნელობა საქართველოს ისტორიის ჯეროვანი შესწავლისათვის. „მუხეუმის დაარსებას ყველა ჩვენი მოყვარე კაცი დადის სიხარულით უნდა მიეგობოს და დიდი მადლობა ჩაინერგოს გულში იმათ მიმართ, ვინც ეს ფრთხილ სასარგებლო საქმე თთავა და შესრულებამდე მიიყვანა“, – წერდა ილია ჭავჭავაძე [3].

არაერთი უცხოელი სწავლული სწორედ ამ მუხეუმის დათვალიერებით ეცნობოდა ჩვენი კულტურული ცხოვრების ხანგრძლივობასა და მდიდარ ტრადიციას. პროფ. ნ.კოდაკოვი მუხეუმის ექსპონატების უმუალოდ გაცნობის შემდეგ წერდა: „საჭიროა მივცეთ ჭეშმარიტი შეფასება ქართულ ხელოვნებას, რომ მან შესძლო ამ

ფორმის (წრიული ფორმა) ყველაზე უფრო ფართოდ გამოყენება. . . არც საკუთრივ ბიზანტიაში, არც იმ ადგილებში, სადაც ენახულობთ ამგვარი ხელოვნების ნარჩენებს. . . არც სერბიაში, არც რუსეთში, არსად ჩვენ არ ვხვდებით ასეთ სრულ დამუშავებას; გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ ირლანდია, მაგრამ ქართული ხელოვნების ფორმებს ირლანდიურთან შედარებით უპირველესი მნიშვნელობა აქვთ“ [7].

მოგვიანებით საეკლესიო მუზეუმის საქმიანობის ღირსეული გამგრძელებელი აღმოჩნდა ქ.შ.წ.კ.გ. საზოგადოების ინიციატივით 1907 წელს დაარსებული „ისტორიულ-ეთნოგრაფიული საზოგადოება“.

დ.ბაქრაძემ ეთნოგრაფიული საზოგადოების ხელშეწყობით შემოიარა ისტორიული ძეგლებით მდიდარი მხარე, სვანეთი. შეაგროვა XVI-XVII საუკუნეების მრავალი წარწერა – ეკლესიების კედლებიდან, ხატებიდან, ჯვრებიდან, ზარებიდან და წიგნებიდან. ეს უაღრესად საინტერესო მასალა თავმოყრილი მის მიერ 1864 წელს გამოცემულ წიგნში „სვანეთი“, რომელსაც სვანთა ყოფის, მეურნეობის, ადათ-წესების, ტრადიციების ამსახველი ცნობებიც ახლავს. სვანეთში გაწეულ მუშაობაზე თვითონ დიმიტრი ბაქრაძე ასე წერდა: „განსაკუთრებით მაინტერესებდა წარწერები და ვიწერდი ყველაფერს, რაც კი მხედებოდა, ისე რომ შეეგროვე 120-ზე მეტი წარწერა. წარწერები გამოკვეთილია ეკლესიის კედლის ქვის ზოდებზე კი არა, როგორც ქართლში და, განსაკუთრებით, ახალციხის მახრამშია, არამედ ამოჭრილია, როგორც თითქმის მთელს იმერეთში, ხატებსა და ჯვრებსზე, ან მიწერილია სახარებებსა და სხვა წიგნებსზე. მათი უმრავლესობა ასომთავრულითაა დაწერილი. . . ბევრი გადაშლილია დროის გამო, ან დაფარულია სქელი ჭვარტლით და ძლივს იკითხება. ხატებსზე გვხვდება აგრეთვე ბერძნული წარწერები, ზარებსზე კი – ლათინურიც“ [5]. აქაც სწავლულის გულისტკივილს იწვევს ისტორიის დაკარგული წყაროები: „ეჭვსგარეშეა, რომ ისტორიული წარწერები ბევრი იყო ხატებსზე, რომლებსაც ჩამოგლეჯილი აქვთ სამოსელი და მოჭედილობა. ისინი საბოლოოდ დაიღუპნენ“ [5].

დ.ბაქრაძის „სვანეთი“ დღესაც ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვან შენაძენად ითვლება.

არანაკლებ ნაყოფიერი გამოდგა სწავლულის სამეცნიერო მოგზაურობა გურიაში, სადაც მას არაერთი მანამდე შეუსწავლელი ძეგლი ელოდა. იღებდა მათზე გაკეთებულ წარწერებს, აკვირდებოდა მოსახლეობის ზნე-ჩვეულებებს, ცხოვრების სტილს. მასვე დიდი წვლილი მიუძღვის აჭარისა და სამხრეთ ქართული ტერიტორიების ისტორიულ შესწავლაში.

1878 წელს, თურქეთში ყოფნისას, დ.ბაქრაძე ათონის ქართული მონასტრის მონახულებასა და რამდენიმე წარწერის გადმოღებას ახერხებს.

ისტორიული სინამდვილის წარმოსახვისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მეცნიერის მიერ მოპოვებულ დიდძალ სიგელ-გუჯრებს. დ.ბაქრაძე პირველი პროფესიონალი ისტორიკოსია, რომელმაც კვალიფიციურად გაარჩია და შეაფასა ეს უტყუარი დოკუმენტები. ამ მასალებმა შეადგინა მისი წიგნი „კავკასიის ძველი ქრისტიანული ძეგლები“, რომელშიც აღწერილია ქართული და სომხური ქრისტიანული ძეგლები, მოცემულია ცნობები მათი დაარსებისა და მათთან დაკავშირებული ისტორიული მოვლენების შესახებ.

დ.ბაქრაძე სწორად თვლიდა, რომ ისტორიოგრაფიისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ქართულ მწერლობასაც, პაგიოგრაფიასა და საეროს.

მასვე აინტერესებდა, თუ რას წერდნენ არაქართველი ავტორები საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებულ საკითხებზე. ამიტომ იყო, რომ სამხრეთ საქართველოში, ოსმალეთისაგან დაბრუნებულ ტერიტორიებზე მოგზაურობისას, იგი ქართულთან ერთად თურქულ საისტორიო-ეპიგრაფიკულ ძეგლებსაც აგროვებდა და იკვლევდა.

დიმიტრი ბაქრაძის დიდი ღვაწლი ქართული ისტორიოგრაფიისა და მთელი კულტურის წინაშე კარგად ჩანს მოსე ჯანაშვილის სიტყვებში: „განსვენებულის სურვილი უქმად არ რჩება. დღეს უკვე მცირესაც ესმის ღირსება თვით ხელისგულის ტოლა ფარატინაზე დაწერილ ძველ ხელთ-ნაწერისა. . . განსვენებულისავე შთაგონებითა და ქადაგებით ძველი ძეგლების წინამძღვარნი და მათი მშენებელნი დღეს აღარ სცლიან ძველს აღნაქსს, ძველ ჩუქურთმას არ აოხრებენ და ძველს მხატვრობას აღარ ათეთრებენ თეთრი კირითა და გაჯით“ [4].

შეგნების ეს ზრდა, საქართველოს ისტორიის შესწავლის საყოველთაო წყურვილი, თერგდალულებთან ერთად, დ.ბაქრაძის დამსახურებაც იყო.

#### ლიტერატურა

1. ბაქრაძე დ. საქართველო (ისტორიული მიმოხილვა). თბილისი, 1871.
2. ბაქრაძე დ. პროფ. პატკანოვი და ქართული ისტორიული წყაროები. თბილისი, 1884.
3. ჭავჭავაძე ი. თხზ. სრული კრებული. ტ.2. თბილისი, 1941.
4. „ივერია“. 1890. №32.
5. Бакрадзе Д. Статьи по истории и древностям Грузии. Спб., 1887.
6. Бакрадзе Д. Сванетия. Записки Кавк. отдела имп. Р.Г.О., кн. VI, 1864.
7. Кондаков И. Древняя архитектура Грузии. М., 1876.